ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები

2015 წლის ივლისში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა მრგვალი მაგიდა - ,,**ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები**".

მრგვალი მაგიდის ორგანიზებისთვის ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა აფხაზეთის ა/რ მთავრობასთან, ცხუმ - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასა და ასოციაციასთან „მშვიდობა და განათლება" ერთად განახორციელა **შემდეგი სამუშაოები:**

- ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმების კონცეფციის შემუშავება;
- მოწვეული სტუმრების, მომხსენებლების (სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და აკადემიური წრის წარმომადგენლების) განსაზღვრა და კოორდინირება;
- მომავალი პოლიტიკური კარიერის მქონე წარმატებული ახალგაზრდების შერჩევა და კოორდინირება;
- ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება (საკონფერენციო დარბაზი, სინქრონული თარგმანი, მოსაწვევები, ბანერები);
- დღის წესრიგის შემუშავება;

პროექტი ითვალისწინებდა:

- ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტურობის ანალიზს;

- ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესში საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მიდგომებისა და ინსტრუმენტების გაცნობასა და გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრას;

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატისა და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული პოლიტიკური კონფლიქტებისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **„ახალგაზრდული სასწავლო ცენტრი "** პრეზენტაციას.

- სახელმწიფო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ლიდერების ძალისხმევით შესწავლილ და გაანალიზებულ

იქნას ნდობის აღდგენისა და შერიგების შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმები.

წარმოდგენილი პროექტის მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- აფხაზეთის მთავრობის როლი და შესაძლებლობები კონფლიქტის მოგვარების პროცესში;
- კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო მექანიზმები (ჟენევის ფორმატი)
- ნდობის აღდგენის პროცესში აკადემიური საზოგადოების როლი და შესაძლებლობები;
- დიასპორების როლი ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის;
- არასამთავრობო სექტორის ინიციატივები და შესაძლებლობები;
- ახალგაზრდული ინიციატივების როლი და შესაძლებლობები.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს და აფხაზეთის ა/რ სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებმა, აკადემიური და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა. ღონისძიების მეთოდოლოგია ითვალისწინებდა პანელური დისკუსიის ელემენტებს. ღონსძიებაში, ასევე, მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდები, რომელნიც დიპლომატიის კუთხით აგრძელებენ კარიერას და მოიაზრებიან როგორც სამშვიდობო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.